

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსი 040564
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

ენერგეტიკის სერვის ცენტრი წარმოადგენს ენერგომომარაგების სფეროში მომსახურების მნიშვნელოვან ქვესისტემას. სერვის ცენტრის ტექნიკოსის, იგივე ოპერატორის საქმე მომხმარებლებზე ორიენტირებული პროფესიაა და მოიცავს:

- ავარიული დარღვევების დროული აღრიცხვა, ანალიზი და შესაბამისი ზომების მიღება;
- საინფორმაციო საზომი სისტემების კომპიუტერული აღრიცხვა და მონიტორინგი;
- სამუშაო უბანზე უსაფრთხოების წესების დაცვა; მომხმარებლების მიერ დახარჯული ელექტროენერგიის აღრიცხვა და ტარიფების დარიცხვა;
- სამუშაო ჯგუფის (ბრიგადის) მართვა.

II. დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსი არის დამხმარე ტექნიკური პერსონალი, რომელიც მუშაობს სერვის ცენტრის ტექნიკური მენეჯერის მეთვალყურეობით, ფლობს ელექტრული ქსელის ექსპლუატაციისა და მართვის უნარებს.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი და თითოეულ საფეხურზე შემუშავდება შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცემა პროფესიული დიპლომი.

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მესამე საფეხურის ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% - სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 40 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% - სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა მოიცავს 40 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% - სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;	იცის თითოეულ ენერგობუნებულ საწარმოო უსაფრთხოების კონტროლის განხორციელება. ელექტროენერჯის ჩართვისა და გამორთვის ოპერაციების მონიტორინგი.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია გამოიყენოს ენერგეტიკის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	ეფექტიანად იყენებს ენერგეტიკის სერვის ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება. სპეციფიკური ტექნიკური მომსახურების ახალი ფორმების შესწავლა და გამოყენება.

ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს ენერგოუსაფრთხოებისათვის დამახასიათებელი მეთოდებით. იცის მომხმარებელთან ურთიერთობების ნორმები და იცავს მათ.
--------------	---	---

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცნობს ენერჯის გამომუშავების პროცესს და თავისებურებებს. იცის მიღება-განაწილება-გადაწოდების საკითხები. იცის, რომ ელექტროენერჯია ისეთი პროდუქტია, რომლის შენახვაც შეუძლებელია, ამიტომ ესმის სერვის ცენტრის ტექნიკოსის პროფესიული ვალდებულება - ენერჯია გამომუშავების თანავე მიაწოდოს მომხმარებელს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია უწყვეტი მომარაგების უზრუნველყოფა. ავტომატურ რეჟიმში მუშაობა, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენება; წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად სტრატეგიის შემუშავება და მიღებული შედეგების შეფასება შესრულებული სამუშაოს გასაუმჯობესებლად.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია ენერგეტიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ასევე ენერგეტიკის სერვისულ მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის უცხოურ ენაზე დამუშავება.

სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია შემდგომი პროფესიული განვითარების მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, ინფორმაციის მოპოვება და გაცნობიერება. აქვს უნარი მიიღოს გადაწყვეტილებები კვალიფიკაციის შესაბამისი დონის პროფესიულ საკითხებში.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება ენერგეტიკის სერვისული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, სამუშაო გარემოს. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი, შეუძლია საქმიანი ურთიერთობების წარმართვა.

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	იცის ენერჯის უწყვეტი მომარაგების პრონციპული საკითხები; ენერჯით უწყვეტი მომარაგების განხორციელება-უზრუნველყოფა. ავტომატურ რეჟიმში მუშაობა, სამუშაოს დაგეგმვა. აცნობიერებს ენერგოსერვისული საქმიანობის შესაძლებლობებს. კერძოდ, უსაფრთხო ენერგომომარაგების უზრუნველყოფას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	შეუძლია უსაფრთხო ენერგომომარაგების უზრუნველყოფა ყველა საჭირო ტექნიკური ღონისძიებების გატარებით; დავალიანების მქონე აბონენტებისათვის ენერჯის დროული შეზღუდვის სამუშაოების ჩატარება.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შეუძლია კარგად განსაზღვრული ენერგეტიკული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხიანი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე ენერგოსერვისთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია შემდგომი განათლების მიმართულებების განსაზღვრა, ცოდნის გაღრმავება, სპეციალურ ლიტერატურასთან მუშაობა, ინტერნეტის გამოყენება. პროფესიული განვითარებისთვის კონკრეტული დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აცნობიერებს უსაფრთხო ენერგომომარაგების მნიშვნელობას. აქვს საქმიანი ურთიერთობების კულტურა. შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს პროფესიული ურთიერთობები როგორც კოლეგებთან, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებთან.